

დამტკიცებულია
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის
2007 წლის 6 ივლისის №84 ორგ. ბრძანებით

შეტანილია ცვლილება
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის
2008 წლის 29 დეკემბრის №126/22 ბრძანებით

საქართველოს კონტროლის პალატის შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- საქართველოს კონტროლის პალატის (შემდგომში - კონტროლის პალატა) შინაგანაწესი (შემდგომში - შინაგანაწესი) შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად და განსაზღვრავს შემდეგს:
 - სამუშაო დღის დასაწყისი და დასასრული;
 - დღის განმავლობაში შესვენების დრო;
 - დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წასი;
 - სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურებამდე დაყვანის წესი;
 - ხელფასის გაცემის დრო და ადგილი;
 - შრომის დაკვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;
 - სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი;
- შინაგანაწესი ვრცელდება კონტროლის პალატის მოსამსახურეებზე.
- შინაგანაწესის მიზნებია:
 - კონტროლის პალატის მოსამსახურეთათვის დაკისრებული ფუნქციების სრულად განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
 - ¹ კონტროლის პალატის მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვა;

- ბ) შრომითი დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
- გ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა;
- დ) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ოპერატიულობის ამაღლება;
- ე) კონტროლის პალატის ხელმძღვანელობასა და მოსამსახურეებს შორის შრომითი ურთიერთობის მონესრიგება.

მუხლი 2. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც მოსამსახურე ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.
2. კონტროლის პალატაში ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში ყოველდღიური სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება 8 საათით.
3. სამუშაო დრო იწყება 9.30 საათზე და სრულდება 18.30 საათზე.
4. უქმე დღის წინა სამუშაო დღის ხანგრძლივობა მცირდება ერთი საათით, საღამოს საათების ხარჯზე.

მუხლი 3. დღის განმავლობაში შესვენების დრო

1. კონტროლის პალატაში სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო განისაზღვრება 13.00 საათიდან 14.00 საათამდე.
2. დასაქმებულს, რომელიც მექუჭური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა.

მუხლი 4. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კონტროლის პალატაში ყოფნის პირობები და წესი

1. კონტროლის პალატის ადმინისტრაციულ შენობაში არასამუშაო დროს, აგრეთვე უქმე და დასვენების დღეებში კონტროლის პალატის მოსამსახურეთა დაშვების წესი განისაზღვრება კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით.

2. კონტროლის პალატის მოხელეთა ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი - 120 საათს.
3. კონტროლის პალატის მოსამსახურეების უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ მუშაობის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

მუხლი 5 სამსახურებრივ საკითხებზე ბრძანებათა მოხელეებამდე დაყვანის წესი

1. სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მოსამსახურეებზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანება შეიძლება ეხებოდეს კონტროლის პალატის ერთზე მეტ მოსამსახურეს (პირთ შემზღუდულ წრეს) ან მხოლოდ ერთ მოსამსახურეს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ბრძანება, რომელიც ეხება კონტროლის პალატის ერთზე მეტ მოსამსახურეს (პირთა შემზღუდულ წრეს) ცხადდება საჯაროდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს კონტროლის პალატაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას მის განთავსებას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ბრძანება, რომელიც ეხება კონტროლის პალატის მხოლოდ ერთ მოსამსახურეს, გასაცნობად გადაეცემა შესაბამის მოსამსახურეს, რაც დასტურდება ხელმოწერით.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები შესაბამისად ვრცელდება კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებებზე.

მუხლი 6. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

1. კონტროლის პალატაში ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ (ყოველი თვის მესამე დეკადაში) და მისი დარიცხვა მოხდება მოსამსახურის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 7. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

1. კონტროლის პალატის მოსამსახურეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო

უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. კონტროლის პალატის მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით.
3. კონტროლის პალატის მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება.
4. კონტროლის პალატის მოსამსახურემ უნდა შეასრულოს ხელმძღვანელის დავალება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში, თუ ამის გაკეთება აუცილებელია კონტროლის პალატაში სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან გადასარჩენად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი დავალების შესრულება საზიანოა მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

მუხლი 8. სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია წინასწარ წარუდგინოს უშუალო უფროსს განცხადება სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. უფროსი თანხმობის ნიშნად ხელს აწერს წარდგენილ განცხადებას ან უარს აცხადებს განცხადების ხელმოწერაზე. უფროსის მიერ განცხადების ვიზირების შემთხვევაში მოსამსახურის სამსახურში გამოუცხადებლობის მიზანშეწონილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის უშუალო უფროსს.
2. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია სამსახურში გამოცხადებისთანავე წარუდგინოს უშუალო უფროსს და/ან კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსს ახსნა-განმარტებითი ბარათი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე.
3. მოსამსახურეს პასუხისმგებლობა სამსახურში გამოუცხადებლობისათვის ეკისრება მოქმედი კანონის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

1. შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა კონტროლის პალატის ყველა მოსამსახურისათვის.

2. შინაგანაწესი გამოიკვრება კონტროლის პალატის შენობაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
3. პასუხისმგებლობა შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისათვის კონტროლის პალატის მოსამსახურეს ეკისრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. შინაგანაწესის გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხდება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით.